ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2951482

ნომერი: AR1456430

თარიღი : 14.11.2016

გაცემის თარიღი : 17.11.2016

გაცნობის თარიღი : 21.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N27-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N 27 , (ნაკვ. 5/14) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ორგანიზაცია:

- არკო კოდი: 405038739

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 სექტემბრის №2857435 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 14 ნოემბრის №AR1456430 განცხადებით მომართა ზურაბ აბზიანიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 26 სექტემბრის №2857435 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 26 სექტემბრის №2857435 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი (ისანი), შანდორ პეტეფის ქ. №27–შიარსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.10.005.063) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 26 სექტემბრის №2857435 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად 7529.94 კვ.მ-ისა დაფიქსირდეს 7522.94 კვ.მ, ხოლო საზაფხულო ფართობი ნაცვლად 2085.36 კვ.მ-ისა დაფიქსირდეს 2085.36 კვ.მ.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მაჩვენებლების შეცვლა, ასევე გამოიწვევს 2016 წლის 26 სექტემბრის №2857435 ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლას, რომელიც, ცვლილების შედეგად, შეადგენს 13188.51 კვ.მ.–ს.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 სექტემბრის №2857435 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:13188.51, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:7522.94, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:2085.36. სამსახურის 2016 წლის 26 სექტემბრის №2857435 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 სექტემბრის №2857435 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge